

საქართველოს სამეფო: მეფეები, მთავრები, თავადები და მათი შთამომავლები  
(სერიის პირველი წიგნი)

## იური რიქოვანი



**მეფე სოლომონ I  
და მისი შთამომავლობა**

საქართველოს სამეფო: მეფეები, მთავრები, თავადები და მათი შთამომავალი  
(სერიის პირველი წიგნი)

**იური რიქოვანი**

**მეფე სოლომონ I  
და მისი შთამომავლობა**  
(გენეალოგიური გამოკვლევა)



გაგონიერება გრიფონი

თბილისი  
2020



წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შთამომავლების გენეალოგიური კვლევის შედეგები. მამაკაცების ხაზით სოლომონ I-ის შთამომავლების გენეალოგია, მოცემული ნაშრომის თანაავტორობით, ადრეც იყო გამოქვეყნებული და, ამდენად, მკითხველისთვის იგი უკვე ცნობილია (ამ ნაშრომში შესული რამდენიმე ახალი ინფორმაციის გამოკლებით). მოცემული ნაშრომის სიახლეა გენეალოგიური კვლევა ქალების ხაზით, რომელმაც გამოავლინა სოლომონ I-ის შთამომავალთა სახელები 40 გვარის წარმომადგენელი თავადური განშტოების სახით. სწორედ ამ კუთხით წარმოადგენს მოცემული ნაშრომი პირველ პუბლიკაციას. მასზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა (სხვა შრომებთან ერთად) თვით იური ჩიქოვანს, მაგრამ მისმა უეცარმა გარდაცვალებამ პუბლიკაციების პროცესი შეაფერხა. მათი დასრულება ითავა ავტორის სიცოცხლეში მასთანვე მომუშავე ჯგუფის ნაწილმა, პირველ რიგში იური ჩიქოვანის მზა ხელნაწერების, მის პირად არქივში დაცული საარქივო მასალების – დოკუმენტების, წყაროების და, ასევე, ოჯახებიდან მოპოვებული და მის მიერვე ცალკეული ხელნაწერების სახით დატოვებული წერილობითი, თუ ზეპირი ინფორმაციების საფუძველზე

სამეცნიერო რედაქტორი	<b>ნიკო ჯავახიშვილი</b> ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სამეცნიერო კონსულტანტი	<b>გიორგი ანჩაბაძე</b> ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ტექნიკური რედაქტორები	<b>ირინა კვიციანი-ჩიქოვანისა</b> <b>ვაჟა აბაშიძე</b>
კომპიუტერული უზრუნველყოფა	<b>ირაკლი ბელთაძე</b>

**პუბლიკაცია მომზადდა და დაისტამბა საქართველოს  
თავად-აზნაურთა საკრებულოს თანადგომით**

© იური კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი, 2020.

ISSN 2667-9337

ISBN 978-9941-8-2183-7

## წინასიტყვაობა

ნაშრომში წარმოდგენილია იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შთამომავლების გენეალოგიური კვლევის შედეგები როგორც მამაკაცთა, ისე ქალების ხაზით. მამრობითი ხაზით სოლომონ I-ის შთამომავლების გენეალოგია მოცემული ნაშრომის ავტორის მიერ, სხვა ავტორებთან ერთად, ადრეც იყო არაერთგზის გამოქვეყნებული, ამდენად, მკითხველისთვის იგი უკვე კარგა ხანია ცნობილია, პირველად ამ ნაშრომში შესული იმ რამდენიმე ინფორმაციის გარდა, რომელიც მოპოვებულ იქნა იური ჩიქოვანის მიერ სიცოცხლის ბოლო წლებში. წინამდებარე ნაშრომის სრულ სიახლეს წარმოადგენს ქალთა ხაზით გენეალოგიური კვლევა, რომელმაც გამოავლინა სოლომონ I-ის შთამომავალთა სახელები 40 გვარის წარმომადგენელი თავადური განშტოებების სახით. სწორედ ამ კუთხით წარმოადგენს მოცემული ნაშრომი პირველ პუბლიკაციას. მასზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა თვით იური ჩიქოვანს. იგი გამოსაცემად ამზადებდა ერთდროულად რამდენიმე ნაშრომს, მაგრამ 2018 წლის 12 ნოემბერს მისმა უეცარმა გარდაცვალებამ პუბლიკაციების პროცესი შეაფერხა. მათი დასრულება ითავა ი. ჩიქოვანის სიცოცხლეში მასთანვე მომუშავე ჯგუფის ნაწილმა და, პირველ რიგში, გარდაცვლილის მეუღლემ, „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილემ, ირინა კვიციანი-ჩიქოვანისამ, რომელიც მუშაობის პროცესში ეყრდნობოდა იური ჩიქოვანის მზა ხელნაწერებს და, ასევე, მის პირად არქივში დაცულ საარქივო მასალებს - დოკუმენტებს, წყაროებს, ოჯახებიდან მოპოვებულ და იური ჩიქოვანის მიერვე ცალკეული ხელნაწერების სახით დატოვებულ წერილობით, თუ ზეპირ ინფორმაციებს, რომელსაც, გამონაკლისის სახით, ი. ჩიქოვანის გარდაცვალების შემდეგ, დაემატა მხოლოდ რამდენიმე პიროვნების შესახებ წიგნის საბოლოო რედაქციის შედეგად დადგენილი, ან დაზუსტებული თარიღები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მოცემულ ნაშრომში მკითხველი იხილავს, ასევე, რამდენიმე თანამედროვის სახელსა და მონაცემებს, რომლებიც, იმავე მიზეზით, არ არის დაფიქსირებული ავტორის ხელნაწერში. ასეთ შემთხვევაში იქვე მითითებულია იმ პიროვნების სახელი და გვარი, ვის მიერაც იქნა მოძიებული ეს დამატებითი ინფორმაცია.

როგორც ცნობილია, 1921 წლის შემდეგ საეკლესიო მეტრიკული აღრიცხვა, პრაქტიკულად, აღარ წარმოებდა, რის გამოც შემდგომ პერიოდში დაბადებულთა ვინაობა იური ჩიქოვანმა დაადგინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეადგინა მათი წინაპრების, შეძლებისდაგვარად, სრული გენეალოგია. ამ გენეალოგიის შედგენა კი მან შესძლო იმ ისტორიული დოკუმენტაციების დამუშავების საფუძველზე, რომელიც დაცულია საქართველოს და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის (ძირითადად რუსეთის) მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ინახება, ასევე, თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივებში და დაცული იყო, ასევე, სოხუმის არქივში მის განადგურებამდე, რაც მოჰყვა 1992 წელს დაწყებულ საომარ მოქმედებებს. საბედნიეროდ, სოხუმის არქივის განადგურებამდე იური ჩიქოვანმა მოასწრო მისთვის საინტერესო ფონდების შესწავლა, რამაც საშუალება მისცა მას შეედგინა აფხაზეთის თავადთა და მათი შთამომავლების გენეალოგია.

ამ და სხვა მრავალი ნაშრომის გამოსაცემად მზადების პროცესში მე, როგორც ბატონი იური ჩიქოვანის რიგი მოცემების სამეცნიერო რედაქტორი და მისი უმცროსი მეგობარი, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მუდმივად ვთანამშროლობდი მასთან. ამ დროს ჩვენს

მიერ ერთობლივად კეთდებოდა შენიშვნები და კომენტარები, რაც საფუძვლად დაედო ამ წინასიტყვაობას.

სოლომონ I-ის შთამომავალნი, ქალთა ხაზით, წარმოდგენილნი არიან ნაშრომში იმ შემთხვევაში, თუ ასული გათხოვდა საქართველოს სამეფოს (და არა სხვა სახელმწიფოს) თავადზე, ანდა მამრობითი ხაზით მის შთამომავალზე. მხოლოდ თავადთა და მათ შთამომავალთა წარმოჩენა აღნიშნული (და სხვა ნაშრომების) გენეალოგიურ ნუსხებში გამოწვეულია იმით, რომ მისი ავტორის, იური ჩიქოვანის ხელთ არსებული მასალები, რომლებსაც იგი მოიპოვებდა 1984 წლიდან გარდაცვალებამდე, მოიცავს, ძირითადად, თავადებს და მათ შთამომავლებს (გამონაკლისის სახით - ცალკეული გვარების გარდა) და ეს იმიტომ, რომ როგორც თავად ავტორს არაერთგზის აღუნიშნავს, მათ შორის ჩემთან პირად საუბრებშიც, თავადთა შესახებ ცნობები სიგელ-გუჯართა და სხვა მრავალი დოკუმენტის სახით, გაგვაჩნია მრავალ წყაროში. აღნიშნულის შესახებ მიუთითებდა თვით იური ჩიქოვანი წიგნის „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (2015 წ.) წინასიტყვაობაში (“ავტორისაგან”), სადაც წერდა: „მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ თავადთა შთამომავლების წარმოდგენა აღნიშნულ ნაშრომში გამოწვეულია იმით, რომ ჩემს ხელთ არსებული მასალები, რომლებსაც მოვიპოვებდი და ვამუშავებდი 30-ზე მეტი წლის განმავლობაში, მოიცავს, ძირითადად, თავადთა შთამომავლებს და ეს იმიტომ, რომ მათ შესახებ ცნობები გაგვაჩნია მრავალ წყაროში და ინფორმაციის მოპოვებაც მეტად ხელმისაწვდომია”.

აქვე აღვნიშნავ, ისევე იური ჩიქოვანის სიტყვებზე დაყრდნობით, რომ სოლომონ პირველის შთამომავლები დღეს გვყავს, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ თავადთა, არამედ სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის წინაპართა შთამომავლებს შორის, მაგრამ ბატონ იურის არ გააჩნდა ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ერთეული შემთხვევების (მაგ., ანტონ ფურცელაძის შთამომავლების და სხვ.) გარდა. ეს არის მიზეზი, რის გამოც ისინი არ ფიქსირდებიან იური ჩიქოვანის ხელნაწერში და, შესაბამისად, ამ ნაშრომშიც.

იმავე წიგნის „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (2015 წ.) შესავალ ნაწილში (“ავტორისაგან”) იგი აღნიშნავდა: “ნაშრომში წოდებას: თავადი, აზნაური და ა. შ., 1917 წლის შემდგომ აღარ ვხმარობ, რადგან იმპერატორ ნიკოლოზ მეორის გადადგომისა და მისი კანცელარიის გაუქმების შემდეგ წოდებრივი კუთვნილება, რუსეთის იმპერიაში მომხდარი პერიპეტეების (რბილად რომ ვთქვათ) გამო, მოისპო.”

ამასთან დაკავშირებით, თავად, დავამატებ შემდეგს:

ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ, მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული შემდეგი:

„თავი 3. მოქალაქის უფლებანი.

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება, გარდა აკადემიურისა, აკრძალულია“.

ვინაიდან საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერები 1921 წლიდან, პრაქტიკულად, აღარ ფიქსირდებოდა, ამიტომ შემდგომ პერიოდში დაბადებულთა შესახებ ცნობები იური ჩიქოვანმა, ძირითადად, აიღო ოჯახებიდან, რის გამოც, ზოგი მათგანი, შესაძლოა,



საჭიროებდეს დაზუსტებას. ამასთანავე, აქ მოცემული თარიღების და გვარ-სახელების გარკვეული ნაწილი აღარ ემთხვევა მოცემული ნაშრომის ავტორის მიერ იმავე გვარის შესახებ ადრეულ პუბლიკაციებში დაფიქსირებულს, ვინაიდან, დამატებითი კვლევის შედეგად, ის დაზუსტდა.

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ კომენტარებში ამა თუ იმ პიროვნების დაბადების და გარდაცვალების შესაბამისი წლის გარდა სხვა მონაცემი (რიცხვი, თვე, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა) მითითებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ეს იური ჩიქოვანს (მის მიერ ჩემთვის მოწოდებული ინფორმაციისავე თანახმად), დაფიქსირებული აქვს მეტრიკულ ჩანაწერებზე (ან რომელიმე სხვა იურიდიულ წყაროზე) და არა ოჯახის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გამოცემის პროცესში გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით უცხოურ ენებზე მოყვანილი საკუთარი სახელების და გვარების მოხსენიებისას. ამასთან დაკავშირებით თვით ი.ჩიქოვანი იმავე წიგნის „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (2015 წ.) შესავალ ნაწილში („ავტორისაგან“) აღნიშნავდა: „უცხოური სახელები და გვარები, ხშირ შემთხვევაში, მოხმობილია იმ ენის შესატყვისად, რა ეროვნებასაც ეკუთვნის ეს პირი (მიხაილ, სერგეი, ნიკოლაი ..... და ა. შ.).“

იმავე წიგნის („გიორგი XII და მისი შთამომავლობა“) შესავალი ნაწილიდან გთავაზობთ, კიდევ, შემდეგ ამონარიდებს:

1) „დაბადების და გარდაცვალების თარიღები, შესაძლოა იყოს სხვა წყაროებისაგან განსხვავებული იმ მიზეზით, რომ დაბადების თარიღად, რიგ შემთხვევაში, ნათლობის თარიღია მიჩნეული, ხოლო გარდაცვალების თარიღად – ეპიტაფიის დადგმისა. ეს ცნობები შემოწმებულია.“

2) „ხშირ შემთხვევაში პირი მოხსენიებულია 2,3 და, ზოგჯერ, მეტი სახელით. ამის მიზეზია ის, რომ ისინი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიებიან და, ასევე, ფართო საზოგადოებისთვის ხშირად არიან ცნობილი შინაურული და არა ოფიციალური (ნათლობის) სახელით. ა.მ., მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ერთ კერძო წერილში მოიხსენიებს შინაურული სახელით „კაკო“. ასევე, არაგვის ერისთავის, დავით იოსების ძის ნათლობის სახელია ნუგზარი, მაგრამ იგი ცნობილი იყო დავითის სახელით, ან უჩა კონსტანტინეს ძე დადიანი, რომლის ნათლობის სახელია დავითი და ა.შ.“

3) “ნუსხებში მოხსენიებული პირი კომენტარებში ფიგურირებს მხოლოდ მაშინ, თუ მის შესახებ დაბადების და გარდაცვალების წლების გარდა (რომლებიც ნუსხებში ისედაც არის მითითებული), ცნობილია კიდევ რაიმე ინფორმაცია: ქორწინება, მოღვაწეობა, ან, თუნდაც, მეტრიკულ ჩანაწერზე დაფუძნებული დაბადების, ან გარდაცვალების ზუსტი თარიღი (თვე, რიცხვი).“

თავად დავამატებ, რომ, სახელების მსგავსად, რიგ შემთხვევებში, გაორება გვარშიც არსებობს. მაგალითად, როგორც ცნობილია, ანდრონიკაშვილის გვარის რუსიფიცირებული ფორმა იყო ანდრონიკოვი, ციციშვილებისა – ციციანოვი, ხოლო მთავარ შერვაშიძეთა (იგივე შარვაშიძეთა) გვარი აფხაზეთში ხშირად იხსენიებოდა ჩაჩბად (ან აჩაჩბად), ხოლო სამეგრელოში – შარაშიად.

მოცემული ნაშრომის ნუსხებში თაობათა რიგითობა ათვლილია მეფე სოლომონ I-დან, რაც ნიშნავს, რომ სოლომონ I ჩათვლილია პირველ თაობად, ვინაიდან ამ ნაშრომის მიზანი იყო სწორედ მისი შთამომავლების გამოვლენა.

ნაშრომში, ზოგან, არ არის მითითებული ცალკეულ პიროვნებათა არც დაბადების და

არც გარდაცვალების წლები, თუმცა ისინი მაინც ფიგურირებენ, ვინაიდან მათი არსებობის შესახებ ინფორმაცია ავტორს გააჩნდა სხვადასხვა წყაროებიდან და ისინი აღნუსხულნი არიან მის ხელნაწერებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერები 1921 წლის შემდეგ აღარ წარმოებდა, რის გამოც შემდგომ პერიოდში დაბადებულთა შესახებ ცნობები იური ჩიქოვანმა, ძირითადად, აიღო ოჯახებიდან, დაბადების მოწმობებზე დაყრდნობით. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში და შემდგომ დაბადებულთა შესახებ კი ცნობებს მოიპოვებდა მათი მშობლების და ოჯახის სხვა წევრების გადმოცემით, რაც არ გამოორიცხავს მათ მონაცემებში შეცდომას.

სრულყოფილი ინფორმაციის უქონლობის გამო, ნაშრომში არ ფიგურირებენ, ან შეზღუდულად არიან წარმოდგენილნი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მცხოვრები ან იქიდან სხვა რეგიონებში გადასახლებული თავადები და მათი შთამომავლები, რომლებიც, შესაძლოა, ასევე წარმოადგენდნენ სოლომონ I-ის შთამომავლებს.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ სოლომონ I-ის იმ შთამომავლების მონაცემები, რომლებიც დაიბადნენ გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, ავტორის მიერ, ძირითადად, დადგენილია 90-იან წლებში, ან XXI საუკუნის დასაწყისში. იმის გამო, რომ მათ დიდ ნაწილთან კომუნიკაცია ვეღარ მოხერხდა (მათ მიერ საცხოვრებლის შეცვლის, საზღვარგარეთ წასვლის, ან სხვა მიზეზთა გამო), XX ს-ის ბოლოს და XXI საუკუნეში დაბადებულნი, მოცემულ ნაშრომში, ავტორის მიერ ფრიად შეზღუდულად იხსენიებიან. იმედს ვიტოვებთ, რომ მათი სახელები, დროთა განმავლობაში, დადგინდება და გამოქვეყნდება.

ნაშრომი აღჭურვილია როგორც გენეალოგიური ნუსხების, ისე მათი კომენტარების ანბანური საძიებლებით, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს მკითხველს ამა-თუ იმ პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

მოცემული ნაშრომის გამოცემით მნიშვნელოვნად გამდიდრდება საზოგადოების ცოდნის არეალი იმერეთის ამ სახელოვანი მეფის, სოლომონ I-ის შთამომავლებისა და მათი მოღვაწეობის შესახებ.

**ნიკო ჯავახიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

- 1) ნიშანი „**o**“ აღნიშნავს „ჩანს“, „მოხსენიებულია“. მაგ **o** (1783-1816) ნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება მოხსენიებულია (ჩანს) დოკუმენტებში პირველად 1783 და, ბოლოს, 1816 წელს. ან, მაგ. **o1812**, ნიშნავს, რომ აღნიშნული პიროვნება ჩანს დოკუმენტებში 1812 წელს.
- 2) ნიშანი „**a**“ – პირველი ასო ლათინური სიტყვისა „**ante**“, რაც ნიშნავს „-მდე“. მაგ. ჩანანერი (1806 - **a**.1832) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1806 წელს და გარდაიცვალა 1832 წლამდე.
- 3) ნიშანი „**p**“ – პირველი ასო ლათინური სიტყვისა „**post**“, რაც ნიშნავს “შემდეგ“. მაგ. ჩანანერი (1862 - **p**.1889) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1862 წელს და გარდაიცვალა 1889 წლის შემდეგ.
- 4) „**d**“. აღნიშნავს „დაიბადა“ (მაგ. **d**.1942).
- 5) „**g**“. აღნიშნავს „გარდაიცვალა“. მაგ. (**o**1860 - **g**.1906) ნიშნავს, რომ აღნიშნული პიროვნება ჩანს დოკუმენტებში 1860 წელს და გარდაიცვალა 1906 წელს.
- 6) „**N**“ აღნიშნავს ფაქტს, რომ მოცემული პიროვნების სახელი (ან გვარი) უცნობია.
- 7) „**N.N**“ – სახელი და გვარი უცნობია.
- 8) „**?**“ თარიღის ნაცვლად აღნიშნავს, რომ თარიღი (დაბადების ან გარდაცვალების წელი) უცნობია. მაგ. ჩანანერი (? - 1907): აქ დაბადების წელი უცნობია, ხოლო გარდაცვალების წელი არის 1907. ჩანანერი (1867 - ?): აქ დაბადების წელი არის 1867, ხოლო გარდაცვალების წელი უცნობია. კომენტარში იგივე კითხვის ნიშანი იმის აღმნიშვნელია, რომ მოცემული ინფორმაცია, ან პიროვნების წარმომავლობა ავტორისთვის დაუზუსტებელია.
- 9) ნიშანი „**~**“ გამოხატავს ქორწინებას. თარიღი და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ამ ნიშნის შემდეგ აღნიშნავს თარიღს და ადგილს, როდესაც და სადაც ქორწინება არის რეგისტრირებული. მაგ. **~** (12.02.1859, გურიანთა) აღნიშნავს, რომ ქორწინება რეგისტრირებულია 12.02.1859 წელს, გურიანთაში.
- 10) ნიშანი „**≈**“ აღნიშნავს სიტყვას „მიახლოებით“. მაგ. (**d**. **≈** 1779 – **p**.1817), ნიშნავს, რომ პიროვნების დაბადების წელი ცნობილია მხოლოდ მიახლოებით და ის არის 1779, გარდაცვლილი კი არის 1817 წლის შემდეგ.
- 11) ორმაგი ნუმერაცია ნუსხის პირველსავე სახელთან. მაგ. ნუსხა 3 იწყება ანასტასია (ატატო) იოანეს (ივანე) ას. აბაშიძით, ნუმერაციით 8-1, რასაც მოსდევს ჩანანერი (იხ. ნუსხა 2). ეს ნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება, ანუ ანასტასია იოანეს ას. აბაშიძე



პირველად მოხსენიებულია ნუსხა 2-ში 8-ე ნომრით, ხოლო მოცემულ ნუსხა 3-ში იგი არის ნომერი „1“.

- 12) კომენტარში შესაძლოა იყოს ასეთი ჩანაწერი:
- ა) ნუსხა 15-ში, 4/1, მარიამ დიასამიძის მეუღლის, თადეოზ გურამიშვილის მონაცემებს მოსდევს შემდეგი: [I~(1830) ელისაბედ, თავადის, გიორგი ვეზირიშვილის ასული. (1814-1842)], რაც ნიშნავს, რომ თადეოზ გურამიშვილი, მარიამ დიასამიძეზე დაქორწინებამდე, 1830 წლიდან, იმყოფებოდა პირველ ქორწინებაში ელისაბედ ვეზირიშვილთან.
  - ბ) ნუსხა 8-ში, 10/4, დესპინე იოსების ასულ ნაკაშიძის მეუღლის, ალექსანდრე გიორგის ძე გურიელის მონაცემებს მოსდევს შემდეგი: [II~ ნინო, თავადის, კაცია დადიანის ასული. (1840-1933)], რაც ნიშნავს, რომ დესპინე იოსების ას. ნაკაშიძის მეუღლე, ალექსანდრე გიორგის ძე გურიელი, დესპინე ნაკაშიძის შემდეგ, დაქორწინდა, მეორედ, ნინო კაციას ასულ დადიანზე.
- 13) „მ.წ.“ – აღნიშნავს მეფობის (მმართველობის) წლებს.
- 14) ბრჭყალებში („.....“) მოცემული სიტყვა, ან წინადადება მიუთითებს, რომ ის მეტრიკულ ჩანაწერში (ან სხვა საისტორიო დოკუმენტში), გვხვდება ამ სახით. ბრჭყალებს ვიყენებთ, ასევე, ციტატის მოხმობისას.

ნუსხეებში მოხსენიებული გვარები და მათი აღმნიშვნელი ფერები.

(გვარების გასწვრივ მითითებულია იმ ნუსხეების ნუმერაცია, რომლებშიც მოცემული გვარი ფიგურირებს)

1. აბაშიძე (1, 2, 3, 6, 7, 8, 13)
2. ამილახვარი (17, 19, 20)
3. ამირეჯობი (17, 24)
4. ანდრონიკაშვილი (12, 21, 22, 23, 27)
5. აფხაზი (23, 25)
6. ბაგრატიონ-დავითიშვილი (7)
7. ბაგრატიონი (იმერეთი) (1, 2, 12)
8. გვბთაგვოვი (გვბთაგვიშვილი) (17)
9. გურამიშვილი (15)
10. გურიელი (8)
11. დადეშელიანი (6)
12. დალიანი (1, 6, 18, 19)
13. დიანაშიძე (14, 15)
14. ირისთავი (გურიის) (2, 3, 5, 8, 9)

15. ირისთავი (რაჭა-ბარო) (10)
16. ირისთავი (ქსნის) (1, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 21, 27)
17. პანაძე (ბებური) (22, 24, 25, 26)
18. პახპახიშვილი (21, 23, 24, 25, 26)
19. თავდგირიძე (3, 4)
20. თარხან-მოურავი (14, 18, 19)
21. ლორთქიფანიძე (9, 10)
22. მაცაშვილი (14, 16)
23. მარაბელი (12, 13, 17)
24. მელიქიშვილი (14, 15)
25. მხიძე (9, 10)
26. ნაკაშიძე (2, 3, 4, 5, 8)
27. ფავლინიშვილი (13)


28. ფალავანიშვილი (23)
29. ფალავა (8, 9, 10, 11)
30. ქორეაძე (9, 10)
31. ყიფიანი (8, 11)
32. შარვაშიძე (1)
33. როლოვაშვილი (12, 27)
34. ჩქოტუა (10, 14)
35. ციციშვილი (15, 22, 23, 25)
36. ჭემთელი (2, 6, 7, 9, 14, 16)
37. ჭულუკიძე (8, 9)
38. ჭავჭავაძე (27)
39. ხმრხმულიძე (27)
40. ხიმშიაშვილი (14)
41. ჯანდიერი (16)





გენეალოგიური ნუსხები  
და  
კომენტარები





\* ყოველი ნუსხის ქვედა, მარცხენა კუთხეში მითითებულია მოცემულ ნუსხაში მოხსენიებული გვარები და მათი აღმნიშვნელი ფერები.





## ნუსხა 1-ს კომენტარები

**1. იმერეთის მეფე სოლომონ I (ალექსანდრე V-ს ძე). (1735-1784). მ.წ. 1752; 1753-1766; 1768-1784.**

~ I. თინათინ შარვაშიძე.

~ II. (1754) მარიამ, თავადის, ოტია დადიანის ასული. (1739-1778).

**2/1. დარეჯან ბატონიშვილი, მეფე სოლომონ I-ის ასული.**

(1756-24.01.1827, მოსკოვი).

~ (1772) თავადი ქაიხოსრო პაატას ძე აბაშიძე. (1737-1805).

**3/1. მარიამ ბატონიშვილი, მეფე სოლომონ I-ის ასული. (1759-1843).**

~ თავადი ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი (ქსნის), („მელექსე“). (o1757 – გ.1826). პოდპოლკოვნიკი.

**4/1. ალექსანდრე ბატონიშვილი, მეფე სოლომონ I-ის ძე. (1760-1780). 03.01.1777წ.**

დაინიშნა გიორგი XII-ს ასულ სალომეზე (1774-?), 1778 წელს კი უკანონოდ დაქორწინდა თავადის, ევგენი აბაშიძის ასულზე. განქორწინდნენ იმავე, 1778 წელს.

~ დარეჯან, თავადის, ბერი წულუკიძის ასული.

**5/1. ბაგრატ ბატონიშვილი, მეფე სოლომონ I-ის ძე. ქორწინების გარეშე შვილი.**

**6/4. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (იმერეთი) – (გიორგი „ბუში“).**

(1778-20.11.1807). ქორწინების გარეშე შვილი მარიამ ჟრენტისგან. „გარდაიცვალა ყვაველით“.

~ დარეჯან (დარია), როსტომ გურიის ერისთავის ასული. (1780-1816).

გიორგი „ბუშის“ და დარეჯან გურიის ერისთავის შთამომავლები, რუსეთში გასახლების შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, ინოდეზოდნენ **ბაგრატიონ-იმერეტინსკებად** და უგანათლებულეს თავადებად. აღნიშნულთან დაკავშირებით უცვლელად მოგვაქვს ერთი ამონარიდი 1996 წელს ს.ვ. დუმინის სამეცნიერო რედაქტორობით მოსკოვში გამოცემული წიგნიდან «ДВОРЯНСКИЕ РОДЫ РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ», III ტ., გვ.91 – «Их внукам князьям Александру и Дмитрию Дмитриевичам (მოცემულ ნუსხაში 9/8 და 10/8) определением Правительствующего Сената 10 мая 1876 г. на основании Высочайше утверждённого 20 июня 1865 г. мнения Государственного Совета (о титулах потомков имеретинских царей) было предоставлено право носить фамилию и титул светлейших князей Багратион-Имеретинских». [მოცემულ ნაშრომში სოლომონ I-ის ყველა შთამომავალს, მამაკაცის ხაზით, ვიხსენიებთ ისე, როგორც იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე – გვართ **ბაგრატიონი**, რასაც მოსდევს მინაწერი (იმერეთი), როგორც იმერეთის განშტოების აღმნიშვნელი].

**7/6. ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონი (იმერეთი). (1796-05.02.1862). გენერალ-**

ადიუტანტი, რუსეთის საიმპერიო არმიის კავალერიის გენერალი.

**8/6. დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონი (იმერეთი). (1799-06.11.1845). საიმპერიო**

არმიის გენერალ-მაიორი. გროდნოს ჰუსართა პოლკის მეთაური.

~ (1842) გრაფინია ოლგა ვალერიანის ას. სტრუემენ-სტროინოვსკაია.  
(1823-27.04.1853). გარდაიცვალა „ჭლექით“, პარიზში.

**9/8. ალექსანდრე დიმიტრის ძე ბაგრატიონი** (იმერეთი).  
(29.07.1843-17.11.1880). პოდპოლკოვნიკი. გარდაიცვალა შვეიცარიაში.  
~ ლიდია ალექსეის ას. როზანოვა. ჩანს 1897 წ-ს უფაში.

**10/8. დიმიტრი დიმიტრის ძე ბაგრატიონი** (იმერეთი). (1846-24.06.1885).  
~ ევდოკია ვასილის ას. კუპრიანოვა.

**11/9. ოლგა ალექსანდრეს ას. ბაგრატიონი** (იმერეთი). (25.01.1876- p.1901).

**12/9. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი** (იმერეთი).  
(აგვისტო, 1879-1943). დაიღუპა სტალინგრადის დაბომბვისას.  
~ ეკატერინა ვასილის ას. ნაუმოვა. (?-1950).

**13/10. ნატალია დიმიტრის ას. ბაგრატიონი** (იმერეთი).  
~ მიხაილ მიხაილის ძე ვერხოვსკი.

**14/12. ნინა ალექსანდრეს ას. ბაგრატიონი** (იმერეთი). (1915-?).  
~ ანდრეი ანდრეის ძე კალჩენკო. (?-1946). პოლკოვნიკი.

II თაობა სოლომონ I-სგან

**დარეჯან ბატონიშვილი, მეფე სოლომონ I-ის ასული** <sup>2-1</sup> (იხ. ნუსხა 1)  
1756-1827

თავადი ქაიხოსრო პაატას ძე აბაშიძე  
1737-1805

III

სვიმონ<sup>2</sup>  
გ.ა.1798

იოანე (ივანე)<sup>3</sup>  
გ.1822

დარეჯან<sup>4</sup>  
~

ანა<sup>5</sup>  
დ.1785

თამარ<sup>6</sup>  
დ.1787

ბერი (ბორის) წერეთელი

იხ. ნუსხა 7

ქაიხოსრო ერისთავი  
(გურ.)

იხ. ნუსხა 8-11

IV

გიორგი<sup>7</sup>  
დ.1809

სიმონ<sup>9</sup>  
დ.1811

ნიკოლოზ<sup>11</sup>  
1815-1820

დმიტრი<sup>12</sup>  
1817-1820

ანასტასია (ათათო)<sup>8</sup>  
1810-1845

ეკატერინე (ეკა)<sup>10</sup>  
1812-1885

გიორგი ნაკაშიძე

იხ. ნუსხა 3-5

როსტომ წერეთელი

იხ. ნუსხა 6

ბაგრატიონი (იმერეთი)

აბაშიძე

წერეთელი

ერისთავი (გურ.)

ნაკაშიძე



## ნუსხა 2-ს კომენტარები

**3/1. იოანე (ივანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძე.** (?-1822). 1819 წლის აჯანყების მოთავე. ინოდებოდა, როგორც იმერეთის ტახტის კანდიდატი. 1820 წელს იმყოფებოდა პატიმრობაში თბილისში. მოკლეს მისივე ყოფილმა მომხრეებმა.

~ ელისაბედ, გურიის მთავრის, სვიმონ II გურიელის ასული. (1786- p.1838).

**4/1. დარეჯან ქაიხოსროს ას. აბაშიძე.** (დ. ≈ 1779- გ. p.1817).

~ თავადი ბერი (ბორის) ქაიხოსროს ძე წერეთელი. (1760-1838). მოურავი.

**5/1. ანნა ქაიხოსროს ას. აბაშიძე.** (1785- p.1838).

~ თავადი ქაიხოსრო გიორგის ძე ერისთავი (გურ.). (?- a.1827).

**7/3. გიორგი იოანეს (ივანე) ძე აბაშიძე.** (1809- a.1894). გენერალ-ლეიტენანტი (?). მამის გარდაცვალების შემდეგ გაასახლეს რუსეთში.

**8/3. ანასტასია (ატატო) იოანეს (ივანე) ას. აბაშიძე.** (1810-03.04.1845).

~ თავადი გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძე. (1810-1867). პორუჩიკი. ჩანს 1837 წ., როგორც ბოქაულთუხუცესი. [II ~ (19.08.1860) მარიამ მამუკას ას. ჭანიშვილი. (?-1866)].

**9/3. სიმონ იოანეს (ივანე) ძე აბაშიძე.** (11.02.1811 - p.1846).

**10/3. ეკატერინე (ეკა) იოანეს (ივანე) ას. აბაშიძე.** (1812-16.02.1885).

~ (16.09.1828) თავადი როსტომ როსტომის (ტოტო) ძე წერეთელი. (1802-1876). კოლეჯის რეგისტრატორი («коллежский регистратор»). [I ~ (18.01.1825) ნინო, თავადის, ესტატე ციციშვილის ასული. (1807-1826)].

**11/3. ნიკოლოზ იოანეს (ივანე) ძე აბაშიძე.**

(1815-12.07.1820, თბილისი).

**12/3. დიმიტრი იოანეს (ივანე) ძე აბაშიძე.**

(1817-13.08.1820, თბილისი).






(იხ. ნუსხა 2)

8-1

ანასტასია (ატალთ), თავადის, იოანე (ივანე) აბაშიძის ასული  
1810-1845

თავადი გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძე  
1810-1867



- აბაშიძე
- ნაკაშიძე
- თავდგირიძე
- ერისთავი (გურ.)



## ნუსხა 3-ს კომენტარები

**2/1. მართა (მარინე) გიორგის ას. ნაკაშიძე.** (1831-1904).

~ თავადი ქიშვარდ სოლომონის ძე თავდგირიძე. (1831-1885).

**3/1. ივანე (კეისარ) გიორგის ძე ნაკაშიძე.** (1832- a.1884).

~ (12.02.1859, გურიანთა) ეკატერინე, თავადის, გიორგი ნაკაშიძის ასული. (1843-?).

**4/1. სოფიო გიორგის ას. ნაკაშიძე.** (1833- p.1859).

~ თავადი ალექსანდრე ზაალის ძე ერისთავი (გურ). (1803-1868).

**6/1. ილარიონ გიორგის ძე ნაკაშიძე.** (20.08.1840-15.03.1915). პოლკოვნიკი.

~ I. ლავრენტინა პავლეს ას. სოკოლოვსკაია. (ფრანგ. კათოლიკ. სარწმ.).

~ II. (22.01.1912) ასმათ (ლიდია), თავადის, ლომინ მაქსიმენიშვილის ასული. (1895-1966).

**8/1. გრიგოლ გიორგის ძე ნაკაშიძე.** (01.12.1842-22.04.1903).

~ ეფროსინე ნიკოლოზის ას. N. (o1903).

**9/6. კეისარ (ცეზარ) ილარიონის ძე ნაკაშიძე.**

(15.09.1862-1902, ტულის გუბერნიის სოფ. ოსაკოვო).

**10/6. მიხეილ ილარიონის ძე ნაკაშიძე.** (28.01.1864-?).

**11/6. ვიქტორ ილარიონის ძე ნაკაშიძე.** (27.12.1865-?).

**12/6. ადელაიდა ილარიონის ას. ნაკაშიძე.** (06.12.1867-?).

~ I. რუდოლფ კეტატ (?). (?- a.1897).

~ II. (21.05.1897) თავადი ბეჟან გიორგის ძე ნაკაშიძე. (1854-?).

**13/6. ზინაიდა ილარიონის ას. ნაკაშიძე.** (15.07.1871-?).

**14/6. თამარ ილარიონის ას. ნაკაშიძე.** (31.08.1877-?).

**15/6. ნინა ილარიონის ას. ნაკაშიძე.** (04.03.1883- p.1901).

**16/6. ალექსანდრე ილარიონის ძე ნაკაშიძე.** (19.07.1884- p.1901).

**17/6. ლეონ ილარიონის ძე ნაკაშიძე.** (18.02.1915-23.04.1915).

**18/8. მარიამ გრიგოლის ას. ნაკაშიძე.** (02.01.1893-?).

**19/8. ალექსანდრე გრიგოლის ძე ნაკაშიძე.** (02.11.1894-?).

20/8. ნატალია გრიგოლის ას. ნაკაშიძე. (08.01.1897-?).

21/8. ნიკოლოზ (ნიკო) გრიგოლის ძე ნაკაშიძე. (12.08.1899-1966). ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. გარდაიცვალა მიუნხენში.  
~ ბეატრისა (ბილდი) N.

22/8. ანასტასია გრიგოლის ას. ნაკაშიძე. (01.10.1900-01.09.1920, ქუთაისი).


23/8. თამარ გრიგოლის ას. ნაკაშიძე. (02.01.1903-?).

24/12. ეკატერინე ბეჟანის ას. ნაკაშიძე. (15.08.1898-?).

25/12. მარიამ ბეჟანის ას. ნაკაშიძე. (24.09.1901-?).

26/12. ალექსანდრე ბეჟანის ძე ნაკაშიძე. (05.10.1906-?).

27/12. ნიკოლოზ ბეჟანის ძე ნაკაშიძე. (18.11.1909-?).



ნაკაშიძე

თავდგირიძე



## ნუსხა 4-ს კომენტარები

- 3/1. სვიმონ ქიშვარდის ძე თავდგირიძე. (22.01.1858-20.04.1860).
- 4/1. გიორგი ქიშვარდის ძე თავდგირიძე. (01.05.1859-21.05.1886).
- 5/1. ქეთევან ქიშვარდის ას. თავდგირიძე. (11.03.1860-?).
- 6/1. დიმიტრი ქიშვარდის ძე თავდგირიძე. (08.01.1861-?).
- 7/1. ელპიდი ქიშვარდის ას. თავდგირიძე. (11.05.1866-?).  
~ (20.02.1883) აზნაური იოველ (ყაისარ) გლახუას ძე გოთუა. (1861-?).
- 8/1. ანდრია ქიშვარდის ძე თავდგირიძე. (15.06.1872-?).  
~ I. (06.05.1901) ეკატერინე, თავადის, გიორგი გუგუნავას ასული. (1881-?).  
~ II. (16.08.1909) მარიამ გიორგის ას. წილოსანი. (1874-?).
- 9/2. ზაქარია ივანეს (კეისარ) ძე ნაკაშიძე. (1864-?).  
~ (20.09.1905) ნინო ვასილის ას. ცხოვრებაძე. (1875-?).
- 10/2. ბექტორ ივანეს (კეისარ) ძე ნაკაშიძე. (12.09.1865-?).
- 11/2. ბარბარე ივანეს (კეისარ) ას. ნაკაშიძე. (12.07.1866-?).
- 12/2. მარიამ ივანეს (კეისარ) ას. ნაკაშიძე. (12.05.1869-?).
- 13/8. თეკლე ანდრიას ას. თავდგირიძე. (10.08.1911-?).





4-1

სოფიო, თავადის, გიორგი ნაკაშიძის ასული  
დ.1833

(იხ. ნუსხა 3)

თავადი ალექსანდრე ზაალის ძე ერისთავი (გურ.)  
1803-1868

VI

ელისაბედ<sup>2</sup>  
1855-1890

გიორგი (გრიგოლ)<sup>3</sup>  
1859-1940

VII

ალექსანდრე<sup>4</sup>  
1898-1985

აკაკი<sup>5</sup>  
1900-1993

დავით<sup>6</sup>  
1902-1906

გიორგი<sup>7</sup>  
დ.1913

VIII

რევაზ<sup>8</sup>  
1936-1966

ალექსანდრე<sup>11</sup>  
დ.1943

ანგელინა<sup>12</sup>  
დ.1924

მერი<sup>13</sup>  
1928-1993

ეთერი<sup>14</sup>  
დ.1931

ლამარა<sup>15</sup>  
დ.1933

ზურაბ<sup>16</sup>  
1935-1938

ქეთევან<sup>17</sup>  
დ.1937

IX

ტატიანა<sup>18</sup>  
დ.1959

ნატალია<sup>19</sup>  
დ.1963

ნინო<sup>20</sup>  
დ.1969

ალექსანდრე<sup>21</sup>  
დ.1972

ოლია<sup>22</sup>  
დ.1968

ქეთევან<sup>23</sup>  
დ.1978

რევაზ<sup>24</sup>  
დ.1980

X

დავით<sup>25</sup>  
დ.1995

გიორგი<sup>26</sup>  
დ.1997

ნაკაშიძე

ერისთავი (გურ.)



## ნუსხა 5-ის კომენტარები

- 2/1. ელისაბედ ალექსანდრეს ას. ერისთავი (გურ.). (1855-29.03.1890).
- 3/1. გიორგი (გრიგოლ) ალექსანდრეს ძე ერისთავი (გურ.). (03.10.1859-1940).  
~ ციციხოველიძე (ქრისტინე) მიხეილის ას. ბილიხოველიძე.
- 4/3. ალექსანდრე გიორგის (გრიგოლი) ძე ერისთავი (გურ.). (02.11.1898-1985).  
~ I. სოფიო N. (?-1935).  
~ II. ნინო ალექსანდრეს ას. თოფურაძე. (1913-1984).
- 5/3. აკაკი გიორგის (გრიგოლი) ძე ერისთავი (გურ.). (16.05.1900-1993).  
~ სოფიო კონსტანტინეს ას. ელიავა. (1905-1995).
- 6/3. დავით გიორგის (გრიგოლი) ძე ერისთავი (გურ.). (04.03.1902-22.07.1906).
- 7/3. გიორგი გიორგის (გრიგოლი) ძე ერისთავი (გურ.). (23.04.1913-p.1920).
- 8/4. რევაზ ალექსანდრეს ძე ერისთავი (გურ.). (1936-1966).  
~ ეთერ ვალერიანის ას. ციხისელი. (დ.1939).
- 9/4. დავით ალექსანდრეს ძე ერისთავი (გურ.). (დ.1938).  
~ I. ელენორა ვიქტორის ას. დეინეკო. (1940).  
~ II. ნელი არსენის ას. მურადოვა. (დ.1941).
- 11/4. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ერისთავი (გურ.). (დ.1943).  
~ I. ელენა ალექსანდრეს ას. ნოსკოვა. (დ.1947).  
~ II. გულნარა ვალერიანის ას. დესპოტაშვილი. (დ.1952).
- 12/5. ანგელინა აკაკის ას. ერისთავი (გურ.). (დ.1924).  
~ ვალერიან (ვალიკო) მშვიდლობაძე. (დ.1922).
- 13/5. მერი აკაკის ას. ერისთავი (გურ.). (10.09.1928-1993).  
~ შოთა სკირია. (1921-?).
- 17/5. ქეთევან აკაკის ას. ერისთავი (გურ.). (დ.1937).  
~ ბორის გიორგის ძე მახვილაძე.
- 18/8. ტატიანა რევაზის ას. ერისთავი (გურ.). (დ.1959).  
~ გიორგი სამსონის ძე მუჯირიშვილი. (დ.1961).
- 19/9. ნატალია დავითის ას. ერისთავი (გურ.). (დ.1963), მოსკოვი.

~ I. ალექსანდრ ანანოვი. (განქორწ.).

~ II. თეიმურაზ ცინცაძე.

**20/9. ნინო დავითის ას. ერისთავი (გურ.).** (დ.1969).

~ მიხაილ ვლადიმირის ძე მაკაროვი. (დ.1974).

**21/9. ალექსანდრე დავითის ძე ერისთავი (გურ.).** (დ.1972).

~ ნინა ვლადიმერის ას. ლიხაიაიდი. (დ.1972).

**22/11. ოლლა ალექსანდრეს ას. ერისთავი (გურ.).** (დ.1968).

~ სერგეი კრუნიჩოვი. (დ.1967).

**24/11. რევაზ ალექსანდრეს ძე ერისთავი (გურ.).** (დ.1980).

~ ელოდი ჰენსენ. (დ.1983). ბელგია.

(იხ. ნუსხა 2)

10-1

ეკატერინე (ეკა), თავადის, იოანე (ივანე) აბაშიძის ასული  
1812-1885

თავადი როსტომ როსტომის (ტოტო) ძე წერეთელი  
1802-1876

ანნა<sup>2</sup>  
1830-1920

დავით (დათა)<sup>3</sup>  
(„სხვიტორელი“)  
1832-1902

იასონ (ილიკო)<sup>4</sup>  
1837-1873

აკაკი<sup>5</sup>  
1840-1915

მატა (მეგრა)<sup>6</sup>  
1843-1876

აბელ (აბო)<sup>7</sup>  
1845-1846

~  
ალექსანდრე დადიანი

გიორგი<sup>8</sup>  
1878-1878

როსტომ (ოტო)<sup>9</sup>  
1880-1905

იოსებ (სოსო)<sup>10</sup>  
1881-1881

ვასილ<sup>11</sup>  
1884-1962

ეკატერინე (Катюша)<sup>12</sup>  
1866-1870

ალექსი (ლოლია)<sup>13</sup>  
1867-1942

ანნა (ანეტა)<sup>14</sup>  
1873-1922

~  
ჯანსუღ (გიორგი)  
დადეშქელიანი

VII

აბაშიძე

წერეთელი

დადიანი

დადეშქელიანი

თათარყან (ივანე)<sup>15</sup>  
1890-1916

ალექსანდრე (სამა)<sup>16</sup>  
1893-1915





## ნუსხა 6-ს კომენტარები

**2/1. ანა როსტომის ას. წერეთელი.** (30.09.1830-1920).

**3/1. დავით (დათა) როსტომის ძე წერეთელი („სხვიტორელი“).**

(21.05.1832-02.05.1902).

~ (09.01.1877) მარიამ (მაიკო), თავადის, მიხეილ ციციშვილის ასული. (1856-?).

**4/1. იასონ (ილიკო) როსტომის ძე წერეთელი.** (30.05.1837-03.04.1873). შტაბს-კაპიტანი.

**5/1. აკაკი როსტომის ძე წერეთელი.** (19.06.1840-15.01.1915). ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე – „აკაკი“.

~ (1863) ნატალია პეტრეს ას. ბაზილევსკაია. (1847-25.03.1933, პარიზი).

**6/1. მატა (მავრა) როსტომის ას. წერეთელი.** (24.10.1843-20.03.1876).

~ (30.06.1870) თავადი ალექსანდრე ვამეყის ძე დადიანი. (1835-1877). პრაპორშჩიკი. მილიციის იუნკერი. დაიღუპა აფხაზეთში.

[| ~ (27.10.1863, ჯვარი) მარიამ, თავადის, ლევან ჩქოტუას ასული. (1843- a.1866)].

**9/3. როსტომ (ოტო) დავითის (დათა) ძე წერეთელი.** (11.02.1880-29.08.1905).

**11/3. ვასილ დავითის (დათა) ძე წერეთელი.** (31.12.1884-1962).

~ სოფიო, აზნაურ ნიკოლოზ დგებუაძის ასული.

**13/5. ალექსი (ლოლია) აკაკის ძე წერეთელი.**

(19.11.1867-16.05.1942, პარიზი).

**14/6. ანა (ანეტა) ალექსანდრეს ას. დადიანი.** (03.02.1873-1922).

~ (1888) თავადი ჯანსუღ (გიორგი) თენგიზის (ნიკოლოზ) ძე დადეშქელიანი. (1858-1922). გენერალ-მაიორი.

**15/14. თათარყან (ივანე) ჯანსუღის (გიორგი) ძე დადეშქელიანი.**

(26.07.1890-1916). დაიღუპა გალიციაში.

**16/14. ალექსანდრე (საშა) ჯანსუღის (გიორგი) ძე დადეშქელიანი.**


(16.07.1893-01.10.1915).



ღარეჯან, თავადის, ქიზოსრო აბაშიძის ასული  
დ. 1799

~

თავადი ბერი (ბორის) ქიზოსროს ძე წერეთელი  
1760-1838



\* მის შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 14, 11/1 და ნუსხა 16, 11-2.  
 \*\* მათი შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 16, 9/2, 10/2 და 11/2. სოლო 8/4-ის შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 10/2, სადაც იგი ფიგურირებს არა როგორც სოლომონ I-ის შთამომავალი, არამედ როგორც მშუკლენი ელიზაბედ შულუპიძის, რომელიც ასევეა შთამომავალი სოლომონ I-სა.  
 \*\*\* მათი შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 35/10, 36/10, 37/10, 38/10 და 43/37. იხ., ასევე ნუსხა 16, 19/10, 20/10, 21/10, 22/10, და 35/21.

აკაშობე  
წერეთელი  
ბაგრატიონ-დავითიშვილი



## ნუსხა 7-ს კომენტარები

**2/1. ივანე ბერის (ბორისის) ძე წერეთელი.** (1796-01.06.1833). 1817 წ-ს გასამართლებულ იქნა სამხედრო სასამართლოს მიერ თაღლითობისთვის (ბრალად ედებოდა იმერეთის ბოლო მეფის, სოლომონ II-ის ბეჭდის გაყალბება).

**3/1. ჯიბრაილ (დავით) ბერის (ბორის) ძე წერეთელი.** (?- a.1839). პრაპორშჩიკი.

~ I. N. თავადის, ლუარსაბ მაჩაბლის ასული.

~ II. (15.01.1830) ქეთევან (მონაზვნობაში ნინო), თავადის, ქაიხოსრო ჯავახიშვილის ასული. (1814-1886).

**4/1. მიხეილ ბერის (ბორის) ძე წერეთელი.** (1809- a.1888). პოდპორუჩიკი. (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 14, 11/1 და ნუსხა 16, 11-2).

~ (01.11.1836, მეფერისხევი) სალომე, თავადის, ზურაბ ქსნის ერისთავის ასული.

(1823-1900). (იხ. ნუსხა 14, 11/1 და ნუსხა 16, 11-2).

**5/3. გაიანე ჯიბრაილის (დავით) ას. წერეთელი.** (1829-25.02.1916).

~ თავადი შანშე (შამშე, შიო) გიორგის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი). (1824-1888).

**6/3. ლევან ჯიბრაილის (დავით) ძე წერეთელი.** (02.03.1831- p.1840).

**7/4. ივანე მიხეილის ძე წერეთელი.** (26.09.1842- p.1889). (იხ. ნუსხა 16, 9/2).

**8/4. ალექსანდრე მიხეილის ძე წერეთელი.** (02.07.1846-12.04.1894). (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 10/2 და ნუსხა 16, 10/2).

~ (05.08.1873) ელისაბედ, თავადის, გიორგი წულუკიძის ასული. (1858-1941). (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 10/2).

**9/4. ანნა მიხეილის ას. წერეთელი.** (28.01.1851-?). (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 16, 11/2).

**10/5. ივლიტა შანშეს (შამშე, შიო) ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).** (10.10.1849-05.02.1851).

**11/5. გიორგი შანშეს (შამშე, შიო) ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).** (05.08.1852-07.12.1892).

~ (31.01.1874) სალომე, თავადის, გიორგი ამილახვრის ასული. (1861-1948).

**12/5. ანნა შანშეს (შამშე, შიო) ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).** (30.04.1865- p.1916).

~ (03.10.1904) თავადი კონსტანტინე ასლანის ძე წერეთელი. (1849-?).

**13/8. მიხეილ ალექსანდრეს ძე წერეთელი.** (31.01.1875-26.12.1914).

შტაბს-როტმისტრი. იბრძოდა დაღესტნის II პოლკში. დაიღუპა კარპატებში ბრძოლისას (გარდაიცვალა ქრილობებისგან). (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 35/10 და ნუსხა 16, 19/10).

~ (27.01.1902) ეკატერინე, თავადის, ნიკოლოზ დიასამიძის ასული. (1879-1947).

**14/8. გიორგი ალექსანდრეს ძე წერეთელი.** (06.07.1876-?). (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 36/10 და ნუსხა 16, 20/10).

**15/8. ალექსანდრე (პეტრე) ალექსანდრეს ძე წერეთელი.** (03.11.1881-1930). შორაპნის მაზრის მარშალი. (მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 37/10 და ნუსხა 16, 21/10).

~ თამარ, თავადის, თეიმურაზ აგიაშვილის ასული. (1895-1963).

**17/11. იოანე გიორგის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(08.08.1880-1937). ექიმი. მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი.

~ (30.06.1904) მარიამ სავლეს ას. ქუქავაძე. (1872-?).

**18/11. დარია გიორგის ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(25.03.1883-1925).

**19/11. ვასილ გიორგის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(01.08.1887-?). გარდაიცვალა ბელგიაში.

**20/11. ნინა გიორგის ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(02.02.1889-?).

**21/11. ანასტასია გიორგის ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(27.10.1891-1986).

~ (10.11.1913) სერაფიონ აქვსენტის ძე დევდარიანი. (1885-1926).

**22/11. ვლადიმერ გიორგის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(1893-1944).

~ ვერა სიმონიშვილი. (?-1980).

**23/15. მარიამ (მაკა) ალექსანდრეს (პეტრე) ას. წერეთელი.** (23.12.1917-?). მხატვარი.

(მის შესახებ იხ., ასევე, ნუსხა 9, 43/37 და ნუსხა 16, 35/21).

~ ვახტანგ დავითის ძე კიკნაძე. (1911-?).

**24/22. გიორგი ვლადიმერის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**

(1922-1941). დაიღუპა ფრონტზე.

**25/22. ქეთევან ვლადიმერის ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).** (1925-?).

~ N. ადამოვი.

**26/22. ვასილ ვლადიმერის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**  
(1927-2006).

~ გულნარა (გურანდა) ლალიაშვილი. (დ.1928).

**27/26. ვლადიმერ ვასილის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).**  
(1952-2006).


~ რუსუდან დიმიტრის ას. მხეიძე. (დ.1952).

**28/26. ნათელა ვასილის ას. ბაგრატიონ-დავითიშვილი (რამაზიშვილი).** (დ.1954).

~ ირაკლი ალექსანდრეს ძე დევდარიანი. (დ.1948).









## ნუსხა 8-ს კომენტარები

**2/1. მარიამ (მაცა) ქაიხოსროს ას. ერისთავი (გურ.).** (1804-12.01.1853).

~ I. (15.01.1819) თავადი სიმონ გიორგის ძე ნულუკიძე. (1795- p.1861). პოდპორუჩიკი.

[II ~ (23.05.1855) ელისაბედ, თავადის, ხიტუ (დათა) ძიაფშ-იფას (ზეფიშვილის) ასული. (1806-1883)].

**3/1. მართა (რუსუდან) ქაიხოსროს ას. ერისთავი (გურ.).** (1815-26.06.1890).

~ თავადი ბეჟან დეისმას ძე ფალავა. (1802- p.1866).

**4/1. ნინო ქაიხოსროს ას. ერისთავი (გურ.).** (1817-1848).

~ თავადი იოსებ კაციას (კაცო) ძე ნაკაშიძე. (1799-1839). პოდპორუჩიკი.

**5/1. მიხეილ ქაიხოსროს ძე ერისთავი (გურ.).** (1819-1871). მაიორი. მოკლეს გლეხებმა მისსავე სახლში.

~ I. მარიამ (მაია), თავადის, დავით ნულუკიძის ასული. (1822-?).

~ II. ელისაბედ, თავადის, ოტია დადიანის ასული. (1830-1878).

**7/3. ნინო ბეჟანის ას. ფალავა.** (1843-09.06.1913).

~ თავადი ლუარსაბ ოტიას ძე ყიფიანი. (1826-1906). კარის მრჩეველი («надворный советник»). მოკლეს არეულობის დროს.

**10/4. დესპინე იოსების ას. ნაკაშიძე.** (1835-15.08.1871).

~ (06.11.1849) თავადი ალექსანდრე (იესე) გიორგის ძე გურიელი. (1833-1890). გვარდიის პოლკოვნიკი. [II ~ ნინო, თავადის, კაცია დადიანის ასული. (1840-1933)].

**11/5. დავით მიხეილის ძე ერისთავი (გურ.).** (02.11.1839- p.1846).

**15/5. ელეონორა (ელენე) მიხეილის ას. ერისთავი (გურ.).** (10.08.1846-23.02.1908).

~ (01.02.1868) თავადი ჯამბაკურ (ჯაბა) დავითის ძე გურიელი. (1839-1912).

**16/5. ვარლამ მიხეილის ძე ერისთავი (გურ.).** (12.01.1848-26.05.1915).

~ I. (07.10.1869) ეკატერინე, თავადის, გრიგოლ მხეიძის ასული. (1851-?).

~ II. (17.10.1876) მარიამ, თავადის, ნიკოლოზ დადიანის ასული. (1859- p.1915).

**17/5. ანდრია მიხეილის ძე ერისთავი (გურ.).** (19.08.1854-16.01.1932, პარიზი).

~ (16.02.1886) მარიამ, თავადის, მელიტონ დადიანის ასული. (1862-1937, პარიზი).

**18/5. ანასტასია (ტასო, ანნა) მიხეილის ას. ერისთავი (გურ.).** (14.09.1855-1920).

~ (30.05.1876) აზნაური ნიკოლოზ (ნიკო) დიმიტრის ძე ყიფიანი.

(1846, ქვიშხეთი – 1905, ბრიუსელი). კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, უფროსი ვაჟი დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანისა (1811-1887), რომელიც ქართველი ერის წინაშე განუღებელი

უდიდესი ღვანლისთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 2007 წელს შეირაცხა წმინდანად და ეწოდა **წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) სამშობლოსათვის წამებული**, მისი ხსენების დღეა 14 აპრილი (ძვ. სტ.).

ამდენად, ტასო ერისთავისა და ნიკო ყიფიანის შთამომავლობა, მოცემული ნაშრომის თანახმად, განეკუთვნება როგორც სოლომონ I-ის, ამავედროულად, დიმიტრი ყიფიანის შთამომავალთა რიცხვს. მათ შესახებ სრული ინფორმაცია მკითხველს შეუძლია იხილოს 2016 წელს გამოცემულ ფოტოალბომში „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალი“. შემდგენლები: თამარ მიქაძე და სოფიო ისაკაძე. ამავე ალბომში გამოქვეყნებულია დიმიტრი ყიფიანის VI თაობის პირდაპირი შთამომავლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მწერალ თამარ მიქაძის მიერ შედგენილი გენეალოგია, რომელიც ეყრდნობა, როგორც ექვსი თაობის საოჯახო არქივს, ისე სხვა დოკუმენტურ მასალას.

**19/5. გიორგი მიხეილის ძე ერისთავი (გურ.).** (14.01.1863-1881). უშვილოდ გადაეგო.

**20/10. ტერეზია (ნინა) ალექსანდრეს (იესე) ას. გურიელი.** (07.07.1864- p.1912).

~ აზნაური ივანე ანტონის ძე დუმბაძე.

**21/10. გიორგი ალექსანდრეს (იესე) ძე გურიელი.** (11.06.1866- p.1912).

**22/10. ლევან ალექსანდრეს (იესე) ძე გურიელი.** (18.06.1870-16.01.1905).

რევოლუციონერებმა მოკლეს ბათუმში.

**23/16. ოლღა ვარლამის ას. ერისთავი (გურ.).** (o1924).

~ თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ერისთავი (გურ.). (1847-1916).

**25/17. ელიზბარ ანდრიას ძე ერისთავი (გურ.).** (25.09.1887- აპრ. 1952, პარიზი).

**26/17. ლეონიდე ანდრიას ძე ერისთავი (გურ.).** (14.09.1890-?).

**28/17. ნინო ანდრიას ას. ერისთავი (გურ.).** (31.07.1898-15.10.1899).

**29/23. ვერა ალექსანდრეს ას. ერისთავი (გურ.).** (1895-1935). მოკლეს.

~ I. თავადი ანდრია ნესტორის ძე დადიანი. (1892-1918).


~ II. საშა ჯაფარიძე.

**32/23. მარიამ (მერი) ალექსანდრეს ას. ერისთავი (გურ.).** (02.04.1906-?).

~ ალექსი ბიბილური.

მარიამ (მაცა), თავადის, ქაიხოსრო გურიის ერისთავის ასული  
1804-1853 (იხ. ნუსხა 8)

თავადი სიმონ გიორგის ძე წულუკიძე  
დ.1795



\* მის შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 7, 8/4 და ნუსხა 16, 10/2.  
 \*\* მათ შემსახვებ იხ., ასევე, ნუსხა 7, 13/8, 14/8, 15/8, 16/8 და 23/15.  
 იხ., ასევე, ნუსხა 16, 19/10, 20/10, 21/10, 22/10 და 35/21.



## ნუსხა 9-ს კომენტარები

**2/1. გიორგისიმონის ძე წულუკიძე.** (1820-1902). ტიტულარული მრჩეველი. («титულлярный советник»).

~ მარიამ (მაკა), თავადის, გიორგი ნაკაშიძის ასული. (1826-1891).

**5/1. პელაგია სიმონის ას. წულუკიძე.** (1830-08.03.1849).

**6/1. დავით სიმონის ძე წულუკიძე.** (15.03.1833-?). კოლეგიის მდივანი («коллежский секретарь»). დაიბადა თავადის, მიხეილ ერისთავის სახლში. „სამეგრელოს მმართველის უფროსი“.

~ I. (19.04.1860, ბანძა) მართა, თავადის, გრიგოლ (გიგო) ფალავას ასული. (1841-?).

~ II. (30.04.1863, ორპირი) ეკატერინე, აზნაურ გიორგი გეგიძის ასული. (1842-1880).

**7/1. ქრისტინე (არისტინა) სიმონის ას. წულუკიძე.** (1839-1883).

~ (16.08.1855) თავადი მიხეილ (ტურია) ლევანის ძე ფალავა. (1838-1891). პრაპორშჩიკი.

**8/2. იოსებ გიორგის ძე წულუკიძე.** (08.05.1845-05.01.1862).

**9/2. პეტრე გიორგის ძე წულუკიძე.** (29.06.1851-1937).

~ (17.05.1881) ოლლა, დეკანოზ ივანე გამრეკელის ასული. (1864- p.1915).

**10/2. ელისაბედ გიორგის ას. წულუკიძე.** (10.02.1858-1941).

~ (05.08.1873) თავადი ალექსანდრე მიხეილის ძე წერეთელი. (1846-1894). მის შესახებ იხ. ნუსხა 7, 8/4 (კომენტარებითურთ), სადაც ალექსანდრე მიხეილის ძე წერეთელი ფიგურირებს, როგორც თავადაც სოლომონ I-ის შთამომავალი, მხოლოდ, მეუღლისგან განსხვავებით, სხვა, კერძოდ – დარეჯან ქაიხოსროს ას. აბაშიძის (ნუსხა 7-ში 4-1) ხაზით. მისსავე შესახებ იხ., აგრეთვე, ნუსხა 16, 10/2, საიდანაც ჩანს, რომ იგი არის სოლომონ I-ის შთამომავალი, ასევე, სალომე ზურაბის ას. ქსნის ერისთავის ხაზით (11-2 ნუსხა 16-ში). მაშასადამე, 1846 წ-ს დაბადებული ალექსანდრე მიხეილის ძე წერეთელი სოლომონ I-ის შთამომავალია ორი დამოუკიდებელი ხაზით.

**11/6. პეტრე დავითის ძე წულუკიძე.** (15.04.1861, ზუგდიდი - ?). [I ქორწინებიდან]. გარდაიცვალა ადრეულ ასაკში.

**12/6. მიხეილ დავითის ძე წულუკიძე.** (17.04.1864- p.1912). არქიტექტორი. ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი. (მიხეილ დავითის ძე წულუკიძე, ისე როგორც დავითის მომდევნო ყველა შვილი დაიბადა II ქორწინებიდან).

~ ეკატერინე (ლიდია) ლევანის ას. ჯაყელი.

**13/6. მარიამ დავითის ას. წულუკიძე.** (22.10.1865-?).

~ (23.02.1891) აზნაური სოლომონ ელიზბარის ძე კორძაია. (1850-?).



**14/6. ევგენია (ემილია) დავითის ას. წულუკიძე.** (09.04.1867-?).

~ აზნაური ალექსანდრე სიმონის ძე ნიჟარაძე. (1858-1919).

**15/6. ნინო დავითის ას. წულუკიძე.** (24.10.1869-1955).

~ (23.02.1891) აზნაური ლეონიდე სიმონის ძე ქიქოძე. (1858-1934).

**16/6. ოლღა დავითის ას. წულუკიძე.** (17.04.1873-?).

~ აზნაური კონსტანტინე (კოტე) იაკობის ძე ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძის ძმა).

**17/6. ნადეჟდა დავითის ას. წულუკიძე.** (29.04.1875-?).

**18/6. ეკატერინე დავითის ას. წულუკიძე.** (14.02.1877-1938).

~ აზნაური ნესტორ ანტონის ძე ფურცელაძე.

**19/7. ისლამ მიხეილის (ტურია) ძე ფალავა.** (15.03.1857-?).

**20/7. მატრონა (მატუტი) მიხეილის (ტურია) ას. ფალავა.**

(06.05.1858-07.06.1909).

~ თავადი გიორგი ნიკოლოზის ძე მხეიძე. (1854- p.1912).

**21/7. იასონ მიხეილის (ტურია) ძე ფალავა.** (1859-11.04.1871).

**23/7. ნეოლინა მიხეილის (ტურია) ას. ფალავა.** (12.01.1863-08.09.1880).

**24/7. ზურაბ (ივანე) მიხეილის (ტურია) ძე ფალავა.** (06.07.1864-15.01.1906).

ფედერალისტი. მოკლულია გლეხ პეტრე პატარაიას მიერ.

~ (15.11.1894) მარიამ (ცაბული), თავადის, სამსონ ნიჟარაძის ასული. (1872-1953).

**25/7. ქრისტინე (ქითი) მიხეილის (ტურია) ას. ფალავა.** (1872-1966).

~ (12.11.1889) თავადი ნიკოლოზ ტარიელის ძე ქორჩაკიძე. (1868-1926).

**26/7. მარიამ (მაშო) მიხეილის (ტურია) ას. ფალავა.** (03.05.1877-?).

~ (31.10.1893) თავადი ნიკოლოზ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე. (1872-1911). სიკვდილით დასაჯეს ქუთაისის ციხეში.

**27/7. ქრისტეფორე (ლევან, ცულუ) მიხეილის (ტურია) ძე ფალავა.**

(14.02.1880- p.1914).

~ (05.07.1911) ლიდია, აზნაურ ივანე გაბუნაძის ასული. (1890-?).

**28/9. მარიამ პეტრეს ას. წულუკიძე.** (14.03.1882-?).

**29/9. ივანე პეტრეს ძე წულუკიძე.** (15.04.1884 - ნოემბ., 1920). ლეიტენანტი.

~ (26.07.1907) კასიანე, დეკანოზ ათანასე ხვინგიას ასული. (1886- p.1921).

**30/9. ელენე პეტრეს ას. წულუკიძე.** (31.05.1885-1920).

~ თავადი ალექსანდრე (სანდრო) ვლადიმერის ძე ფალავა. (1884-1934). (II ~ ცუცა გამყრელიძე).

**31/9. გრიგოლ პეტრეს ძე წულუკიძე.** (25.01.1887-?).

**32/9. ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძე.** (10.01.1888-1967).

~ I. ელენა ვენედიქტის ას. სტოლიაროვა.

~ II. ელენე გაჩეჩილაძე.

**33/9. ქეთევან პეტრეს ას. წულუკიძე.** (25.01.1894-1979).

~ იაკობ მარკის ძე როჭუკოვი. (?-1990).

**34/9. არჩილ პეტრეს ძე წულუკიძე.** (20.08.1896-05.02.1912). ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ქუთაისში.

